ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი

შუალედური ანგარიში

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ტოქშოუების მედიამონიტორინგის შუალედური ანგარიში

1 აგვისტო - 15 ოქტომბერი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

თბილისი, 2018

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორები აკვირდებიან 8 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუებს და საინფორმაციო გამოშვების იმ ნაწილს, სადაც რესპონდენტებთან ათ წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის ინტერვიუს სთავაზობენ მაყურებელს.

მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, იბერია, მაესტრო, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია. მონიტორინგი მიმდინარე წლის 1 აგვისტოს დაიწყო. ტოქშოუების ნაწილი ეთერში სექტემბრის დასაწყისში, ნაწილი კი უფრო მოგვიანებით გავიდა. წინამდებარე ანგარიში ასახავს 1 აგვისტოდან - 15 ოქტომბრამდე პერიოდში გასული გადაცემების ანალიზს.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ:

- პრეზიდენტი
- მთავრობა
- პოლიტიკური პარტიები

მონიტორები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ჩანდნენ კვლევის სუბიექტები გადაცემებში. თითოეულ ტოქშოუს აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: არის თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შესაბამისია მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემასთან, სტუმრების შერჩევისას ხომ არ იკვეთება მიკერძოება, როგორ მიმდინარეობს მსჯელობა, რამდენად კარგად მართავს დისკუსიას წამყვანი, როგორია მისი კითხვები, არის თუ არა წამყვანი მომზადებული, აძლევს თუ არა ის სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას, გადაცემა ხომ არ არის გამოყენებული სიძულვილის ენის გასავრცელებლად. საერთო ჯამში იღებს თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

ძირითადი ტენდენციები:

- მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უფრო თვალსაჩინო გახდა, თუ როგორი პოლარიზებულია სამაუწყებლო მედია. კანდიდატთა მიმართ მიკერძოება და ტენდენციური გაშუქება გამოიხატა არა რომელიმე კანდიდატის პოზიტიურად წარმოჩენაში, არამედ არასასურველი კანდიდატის ნეგატიურ გაშუქებაში. არხების ნაწილის წამყვანები პირდაპირ მოუწოდებდნენ ამომრჩეველს, თუ რომელი კანდიდატი არ უნდა აირჩიონ. „რუსთავი 2"-ისა და „იმედის" ტოქშუები კი პრაქტიკულად ალტერნატიულ რეალობებს აჩვენებდნენ აუდიტორიას.
- კანონით დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად[1], არხების უმეტესობაზე არ გამართულა საპრეზიდენტო კანდიდატთა დებატები. გამონაკლისია მხოლოდ პირველი არხი და აჭარის ტელევიზია, რომლებმაც მონიტორინგის პერიოდში არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების დებატები შესთავაზეს აუდიტორიას.
- კანდიდატების პრეზენტაცია შესთავაზა აუდიტორიას „ტვ პირველმა", თუმცა, აქცენტი არ გაკეთებულა კონკრეტულ საარჩევნო პროგრამებზე. საზოგადოებას არ მოუსმენია კანდიდატების დაპირებების ანალიზი და შეფასება, თუ რამდენად შესრულებადია ეს დაპირებები პრეზიდენტის შეზღუდული უფლებამოსილების ფარგლებში.
- გაერთიანება „ძალა ერთობაშიას" კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე მხოლოდ ერთხელ მონაწილეობდა ტოქშოუში. ის „არჩევანს" ჩაერთო, თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ უსაუბრია საკუთარ პროგრამაზე.
- ტოქშოუების ძირითადი სადისკუსიო თემა არ ყოფილა არჩევნები. დღის წესრიგი შეცვალა გავრცელებულმა ფარულმა ჩანაწერებმა. ჯერ ტელეკომპანია „იბერიის" დამფუძნებლის, ზაზა ოქუაშვილის, შემდეგ კი პროკურატურის ყოფილი თანამშრომლის, მირზა სუბელიანის ფარული ჩანაწერები გახდა წინასაარჩევნოდ განხილვის მთავარი თემა.
- ტოქშოუებში საკითხს უმეტესად დაპირისპირების ჭრილში განიხილავდნენ. წამყვანები ნაკლებად იკვლევენ გადაცემამდე თემასთან დაკავშირებულ საკითხებს და არ ცდილობენ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას აუდიტორიისთვის. ეს კარგად გამოჩნდა კანაფის კულტივირების ინიციატივის გაშუქებისას – თითქმის არსად ეს თემა საფუძვლიანად არ განხილულა ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში. მთავარი აქცენტი გაკეთდა ეკლესიისა და მმართველი გუნდის დაპირისპირებაზე.
- არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გადაცემები შეწყვიტა „იბერიამ". მთელი სამონიტორინგო პერიოდის განმავლობაში არხზე მხოლოდ „იბერიის" ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე მსჯელობდნენ. შედეგად, არხმა ამომრჩევლის ინფორმირების ვალდებულება ვერ შეასრულა.

---

[1] საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს. საერთო მაუწყებელმა მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში. *მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 55*

პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა წინასაარჩევნოდ აუდიტორიას შესთავაზა დებატები კანდიდატებს შორის. აგრეთვე, საინფორმაციო გამოშვების შემდეგ, დღის აქტუალურ თემაზე სასაუბროდ მოწვეულნი იყვნენ სტუმრები. ეთერში გავიდა გადაცემები „აქტუალური თემა“ და „კვირის ინტერვიუ“, რომლებიც ასევე მოხვდა ანგარიშში.

დებატები 2018

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის 4 დებატი გაიმართა. თუმცა, მონაწილეები მაუწყებელს არ შეურჩევია. მან კანდიდატებს შესთავაზა პლატფორმა დებატებისთვის და მათვე მიანდო შეთანხმებულიყვნენ, ვისთან სურდათ დებატები. ამის შედეგია ის, რომ მაგალითად, კახა კუკავა და კახაბერ ჭიჭინაძე სამჯერ, გიორგი ლილუაშვილი, ბესარიონ თედიაშვილი და მიხეილ გელა სალუაშვილი კი ორ-ორჯერ მონაწილეობდნენ ამ გადაცემაში.

გადაცემის ფორმატი ითვალისწინებდა დასაწყისში ერთწუთიან გაცნობითი ხასიათის მიმართვას კანდიდატების მხრიდან. იმ დროს, როცა ერთი და იგივე კანდიდატი რამდენჯერმე იღებს გადაცემაში მონაწილეობას, ეს პირველი ნაწილი აზრს კარგავს, რადგან, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მესიჯები მეორდება. გამორჩეული იყო 4 ოქტომბრის გადაცემა, რომლის დროსაც გიორგი ლილუაშვილმა მისთვის წარსადგენად გამოყოფილი 1 წუთი დუმილისთვის გამოიყენა, შესაბამისად, მაყურებელიც ეთერში სიჩუმეს უყურებდა.

წამყვანი დებატებისას ინტერესდებოდა თუ როგორ შეაფასებდნენ კანდიდატები პრეზიდენტის შემცირებულ უფლებამოსილებას და როგორ უყურებდნენ იმ ცვლილებას, რომ პრეზიდენტი აღარ იქნება არჩეული - რაც უცნაურად ჟღერდა, ვინაიდან ამ თემაზე დისკუსია და დებატები აქტუალური იყო იმ დროს, როცა იცვლებოდა კონსტიტუცია. იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო ცვლილება პრეზიდენტის უფლებამოსილებაში არ შედის და ვერ შეიცვლება რაიმე ამ მიმართულებით, წინასაარჩევნო დებატებში ამ საკითხის წამოწევა არარელევანტური იყო.

წამყვანი პრაქტიკულად ერთსა და იმავე საკითხზე სვამდა კითხვებს ყველა გადაცემაში. მაგალითად, <u>8 ოქტომბერს</u> გაიმეორა წინა გადაცემაში დასმული კითხვა კონსტიტუციაში არსებულ ჩანაწერზე ევროატლანტიკური კურსის ურყეობის შესახებ. წამყვანის შეკითხვა ფორმულირებული იყო ასე: „ხომ არ გეჩვენებათ, რომ მსგავსი ჩანაწერი აღარ არის თავისუფლების აქტი საზოგადოების ან თუნდაც სახელმწიფოს მხრიდან, არამედ უკვე ვალდებულებაში გადადის?“ გაუგებარია რატომ დასვა ჟურნალისტმა ეს კითხვა რამდენიმე გადაცემაში, რატომ შეიძლება იყოს ეს საკითხი სადისკუსიო მაშინ, როდესაც ამ კურსის შესახებ უკვე არსებობს კონსენსუსი ქვეყანაში.

წამყვანი ნაკლებად უსვამდა სტუმრებს დამაზუსტებელ კითხვებს და სთხოვდა დამატებით არგუმენტაციას, შესაბამისად, მაყურებლისთვის ზოგიერთი საკითხი გაუგებარი რჩებოდა. მაგალითად, კახაბერ ჭიჭინაძემ სამ გადაცემაში აღნიშნა, რომ საქართველომ ნატოზე უარი უნდა თქვას და სამხედრო ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს. წამყვანი არ დაინტერესებულა, რატომ უნდა თქვას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე უარი საქართველომ, რას ნიშნავს სამხედრო ნეიტრალიტეტი, როცა საომარ პირობებში ვიმყოფებით რუსეთთან და ა.შ. 12 ოქტომბრის დებატებში მონაწილე კანდიდატებიდან მხოლოდ თედიაშვილი უჭერდა მხარს ევროატლანტიკურ კურსს. დანარჩენები ნატოს წინააღმდეგ პოლიტიკისა და რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობდნენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, რომ ჟურნალისტს უფრო ვრცლად და არგუმენტირებულად გაეშალა ეს თემა.

მთლიანობაში, დებატები უფრო მეტად ორიენტირებული იყო იმაზე, რომ კანდიდატებს თანაბარი დრო ჰქონოდათ სასურველი მიმართულებით სასაუბროდ. ამას ემატება ჟურნალისტის პასიური როლიც, რომელიც წინასწარ გაწერილ კითხვებს მისდევდა და გამოყოფილი დროის გასვლის შემდეგ სიტყვას უბრალოდ სხვას გადასცემდა. ის არ იყო დებატების აქტორი, მონაწილე, რომელიც სვამს შეკითხვებს, ეძებს არგუმენტებს, ცდილობს მეტი დეტალის გამოვლენას, რომ მაყურებელს მიაწოდოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. პასიური როლი უფრო ცხადად გამოაჩინა იმ რესპონდენტებთან ურთიერთობამ, რომლებიც რამდენჯერმე მონაწილეობდნენ გადაცემაში და ახდენდნენ ქსენოფობიური, ანტიდასავლური მესიჯების ტირაჟირებას. მიუხედავად იმისა, რომ მათი დამოკიდებულებები წამყვანისთვის უკვე წინასწარ იყო ცნობილი, ის მაინც არ ჩაღრმავებია ამ საკითხებს, რათა მაყურებელს არ შექმნოდა ყალბი წარმოდგენები ამ საკითხებზე.

დღის თემა

დღის თემა კვირაში რამდენჯერმე გადიოდა ეთერში. მისი პერიოდულობა იცვლებოდა იმის მიხედვით, გაიმართებოდა თუ არა საარჩევნო დებატები კანდიდატებს შორის იმ კვირაში. ფორმატის მიხედვით წამყვანი პირისპირ ინტერვიუს მართავდა რესპონდენტთან, რომელიც დღის თემიდან გამომდინარე ირჩეოდა. გადაცემაში მონაწილეობდნენ როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელები. თითოეული მათგანი სადისკუსიო თემის შესაბამისად იყო შერჩეული. წამყვანი, ხშირ შემთხვევაში, იყო მომზადებული და სვამდა ადეკვატურ კითხვებს, იშველიებდა ციტატებს, რესპონდენტებს ეძიებოდა და სთხოვდა არგუმენტაციას გამოთქმული მოსაზრებების დასასაბუთებლად.

თუმცა, ბევრი კითხვა და დაუზუსტებელი დეტალი დარჩა გადაცემებში, რომლებსაც თბილისის მერი <u>კახა კალაძე</u> (26.09) და იუსტიციის მინისტრი <u>თეა წულუკიანი</u> (1.10) სტუმრობდნენ. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი ლოიალური იყო მათ მიმართ.

მაგალითად, როდესაც წამყვანმა ჰკითხა გზების დაუსრულებელი რეაბილიტაციის პროექტის შესახებ, კახა კალაძეს მიეცა საშუალება ესაუბრა იმაზე, რომ ამგვარი „უპრეცედენტო“ რეაბილიტაცია არ ახსოვს დედაქალაქს, რომ მერმა შეასრულა ის დანაპირები, რომლის თანახმადაც ქალაქში ყველაზე მძიმე და რთული სარემონტო სამუშაოები დასრულებული იქნებოდა. გაურკვეველია, თუ რატომ არ მოუყვანა წამყვანმა რესპონდენტს კონტრარგუმენტები, დაუსახელა კონკრეტული ფაქტები დაუსრულებელი სამუშაოების შესახებ მაშინ, როდესაც თავად კითხვა ეხებოდა სწორედ რეაბილიტაციის დაუსრულებელ პროცესს. წამყვანი აღარ შეჰყვა აღნიშნულ დისკუსიაში მოწვეულ სტუმარს, რითიც საშუალება მისცა თბილისის მერს საკუთარი პიარისთვის გამოეყენებინა საეთერო დრო.

„ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის შესახებ დასმული კითხვით კი წამყვანმა პრაქტიკულად გაიმეორა მმართველი გუნდის ნარატივი, რომ ყველა გაერთიანდა სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ. მან ასეთი ფორმულირებით დასვა კითხვა: „როგორ ფიქრობთ, რატომ მიმდინარეობს ასეთი ერთიანი კამპანია სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ, რომელიც არის თქვენი გუნდის მიერ მხარდაჭერილი?“

წამყვანი კრიტიკული არ ყოფილა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის მიმართაც. მინისტრმა თქვა, რომ მედიის თავისუფლების შელახვის და ადამიანზე ძალადობის კუთხით ხელისუფლებას არანაირი შეცდომა არ დაუშვია მაშინ, როცა ბოლო კვირების მანძილზე სწორედ ეს თემები განიხილებოდა საზოგადოებაში. უფრო მეტიც, არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, ადგილობრივი ორგანიზაციების, სპეციალისტების შეფასებები, რომ მედიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები ქვეყანაში ხდება. ოპონირების ნაცვლად ჟურნალისტმა თქვა, რომ ზოგიერთი მედიასაშუალება ასე არ მიიჩნევს, რითიც ხაზი გაუსვა, რომ ეს მხოლოდ კონკრეტული მედიასაშუალებების მოსაზრებაა.

მთელი ინტერვიუს განმავლობაში წამყვანს არაფერი უკითხავს მართლმსაჯულების ჩავარდნილ რეფორმებზე. გადაცემის წინა დღეს გასაჯაროვდა სპორტის ყოფილ მინისტრ ლევან ყიფიანზე შესაძლო ძალადობის შესახებ ფარული ჩანაწერი. წამყვანი მხოლოდ ზოგადი კითხვით შემოიფარგლა და იმით დაინტერესდა, ცალკე საქმედ ხომ არ უნდა გამოიყოს „ომეგა ჯგუფის“ საქმიდან ყიფიანის ეპიზოდი.

წულუკიანმა იერიში მიიტანა არასამთავრობო ორგანიზაციებზე და გადაცემის განმავლობაში არაერთხელ გააკრიტიკა მესამე სექტორი, რომელიც თავის მხრივ მკაცრად აკრიტიკებს მინისტრს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და გამოთქმული შეფასებების გამო. ჟურნალისტს ოპონირება არ გაუწევია, მისი შეკითხვები მინისტრთან იწყებოდა ასე: “ისინი [არასამთავრობოები] ამბობენ...” რითიც ფაქტობრივად ეჭვქვეშ აყენებდა მინისტრის მიმართ არსებული პრეტენზიების საფუძველს.

მთლიანობაში ინტერვიუ იყო ზოგადი და ემსახურებოდა მხოლოდ რესპონდენტის პოზიციების წარმოჩენას რამდენიმე საკითხზე. ჟურნალისტი არ შეხებია სასამართლო სისტემის რეფორმას, მის მანკიერ განვითარებას და პრობლემებს ამ სისტემაში. ეს ის თემაა, რომელზეც პასუხისმგებელი იყო მინისტრი და რის გამოც აკრიტიკებენ მას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამასთან, ანონსში ნათქვამი იყო, რომ არასამთავრობოებმა და ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადეს უწყებათაშორის კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობს სწორედ მინისტრი. ეს თემა საერთოდ არ გაშლილა გადაცემაში.

კვირის ინტერვიუ

საანგარიშო პერიოდში „კვირის ინტერვიუ“ სულ სამჯერ გავიდა ეთერში და მხოლოდ ერთხელ ჰყავდა სტუმრად სამონიტორინგო სუბიექტი - პარლამენტის ვიცე-სპიკერი მმართველი პარტიიდან <u>თამარ ჩუგოშვილი</u> (27.09) . გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს პირისპირ ინტერვიუს რესპონდენტთან, ამიტომაც, ამ შემთხვევაშიც, წამყვანმა მიმდინარე საკითხები განიხილა. ის შეეხო ბევრ თემას, მათ შორის, ტელეკომპანია „იბერიის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ფარულ ჩანაწერებს, წინასაარჩევნო კამპანიას. გადაცემის ბოლოს კი დიდი დრო დაუთმო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პრემიერ-მინისტრის სიტყვის შეფასებას. საერთო ჯამში, ბევრი თემის წამოწევის გამო წამყვანმა ვერ მოახერხა თითოეულის საფუძვლიანად განხილვა. წამყვანი გადაცემისთვის მომზადებული იყო, მოიყვანა ციტატები თანამდებობის პირთა გამოსვლებიდან, მაგალითები სხვადასხვა კვლევებიდან.

აქტუალური თემა

სამონიტორინგო პერიოდში „აქტუალური თემა“ მხოლოდ სამჯერ გავიდა ეთერში. აქედან მხოლოდ ორ შემთხვევაში მონაწილეობდნენ მონიტორინგის სუბიექტები. ორივე გადაცემაში საუბრობდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები კახა კუკავა და ზურაბ ჯაფარიძე. პირველი გადაცემის თემა იყო ეკლესია და სახელმწიფო, მეორე გადაცემაში კი სტუმრებმა საარჩევნო გარემოზე ისაუბრეს უკვე სხვა არაკვალიფიციურ საპრეზიდენტო კანდიდატებთან ერთად.

გადაცემა და წამყვანის კითხვები იყო ზედაპირული. ის თვალს ადევნებდა რესპონდენტებს შორის გამართულ დისკუსიას და მხოლოდ ხანდახან ერთვებოდა დამატებითი კითხვებით. <u>21 სექტემბერს</u> მისი ყველა კითხვა ერთი საკითხისკენ იყო მიმართული –რესპონდენტებს შეეფასებინათ იყო თუ არა ეკლესიის მხრიდან კულტივირების ინიციატივის გაპროტესტება ჩარევა საერო მმართველობაში. წამყვანის კითხვები არ შეიცავდა ფაქტობრივ მონაცემებს, რაც სტუმრებს თემის გაშლის შესაძლებლობას მისცემდა და აუდიტორიაც დამატებით ინფორმაციას მიიღებდა. „როგორ უყურებთ ამ პროცესს?“ „რა დაგანახათ ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა?“ - ძირითადად ასეთი ფორმულირებით ისმებოდა კითხვები.

28 სექტემბერს, პრეზიდენტობის კანდიდატების სტუმრობისას, წამყვანი ყველა კანდიდატს ერთსა და იმავე კითხვას უსვამდა. მაგალითად, ყველას შეაფასებინა პირველი არხის მიერ კანდიდატებისთვის გადაცემებში მონაწილეობის შეთავაზება, რასაც თავად წამყვანი "უპრეცედენტოდ" აფასებდა. მან დიდი დრო დაკარგა სტუმრებთან დისკუსიაში არაარსებით თემებზე, მაგალითად, ვის რამდენი დრო ეთმობოდა ეთერში, რატომ მოიწვიეს კონკრეტული სტუმარი სტუდიაში, რატომ ჩაერთო სხვა ადგილიდან უსუფაშვილი და ა.შ. არ დასმულა კითხვები კანდიდატების პროგრამებთან დაკავშირებით. ამ გადაცემაშიც წამყვანი სვამდა ზოგად კითხვებს, თუ როგორ შეაფასებდნენ სტუმრები წინასაარჩევნო გარემოს, როგორი იქნება მათი შემდეგი ნაბიჯი, თუ სასურველი შედეგი ვერ მიიღეს არჩევნებში. წამყვანი არ იყო სათანადოდ მომზადებული. მაგალითად, მედია გარემოზე საუბრისას შეეძლო ეხელმძღვანელა არაერთი კვლევით, რომელიც ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩაატარეს, ასევე, შეეძლო გაკეთებინა შედარებები წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს არსებულ მედია გარემოსთან.

რუსთავი 2

ტელეკომპანია „რუსთავი 2" ეთერში უშვებდა ორ სადისკუსიო პროგრამას - „არჩევანი" და „კვირის აქცენტები." გასული წლებში არხი კანდიდატების პროგრამებს წარადგენდა, ანდა მართავდა თემატურ დებატებს, წელს კი მსგავსი ფორმატები აუდიტორიისთვის აღარ შეუთავაზებია. ორივე გადაცემაში მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი მკვეთრად უარყოფითად შუქდებოდა.

არჩევანი

ტოქშოუ „არჩევანი" ყოველ სამშაბათს გადიოდა ეთერში, თუმცა, იყო გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც არხმა ეს გადაცემა მაყურებელს კვირაში ორჯერ შესთავაზა. ყველა გადაცემის თემა მიმდინარე მოვლენები იყო და არ გამართულა საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატები. შესაბამისად, აუდიტორიას არ მიუღია ინფორმაცია კონკრეტული საარჩევნო დაპირებების, მათი რელევანტურობის, კანდიდატთა ხედვების შესახებ.

გადაცემას სტუმრობდნენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები, თუმცა, იყო შემთხვევები (18. 09, 25.09), როდესაც მმართველი პარტიიდან არავინ მონაწილეობდა და ოპოზიციური პარტიების წევრების ბრალდებები უპასუხოდ დარჩა. წამყვანი ოპოზიციის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევდა გადაცემა თავისუფლად გამოეყენებინათ ხელისუფლების კრიტიკისთვის და მისი შეცვლის საჭიროებაზე ესაუბრათ. ასეთ დროს წამყვანი მხოლოდ მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა და საუბარში არც მაშინ ერეოდა, როდესაც რესპონდენტები სადისკუსიო თემის ნაცვლად სხვა საკითხებზე საუბრობდნენ.

2 ოქტომბერს კი წამყვანმა ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს კონფრონტაციის საშუალება მისცა: სტუდიაში მყოფთა ერთი ნაწილი ცხრაწლიან მმართველობას იხსენებდა, მეორე - ექვსწლიანს. წამყვანს სიტყვიერად და ფიზიკურად უხდებოდა მათი დამშვიდება. სიტუაციის ამგვარად დაძაბვა გამოწვეული იყო იმით, რომ წამყვანს არ უცდია კამათი ერთი კონკრეტული საკითხის გარშემო წარმართულიყო. მთელი გადაცემის განმავლობაში მან გააკეთა რამდენიმე რეპლიკა და დასვა ერთადერთი კითხვა, რომლის ბოლოს თქვა: „თქვენ ახლა ერთმანეთში ისაუბრეთ, მე აღარ ვარ თქვენი ოპონენტი.“ გაუგებარი დარჩა, რატომ აირჩია წამყვანმა პასიურ როლში ყოფნა კითხვების დასმის ნაცვლად. საერთო ჯამში აუდიტორიამ იხილა უსაგნო ურთიერთბრალდებები და გაწევ-გამოწევა.

კვირის აქცენტები

გადაცემა ყოველ კვირას გადის ეთერში და გამორჩეულია სხვა ყველა გადაცემისგან იმით, რომ როგორც ანოტაციაშივეა მითითებული, „ჟურნალისტი ეკა კვესიტაძე და „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია არ ერიდებიან საკუთარი დამოკიდებულების წარმოჩენას ამ მოვლენების მიმართ”. შესაბამისად გაცხადებულია, რომ გადაცემა წამყვანების სუბიექტური პერსპექტივიდან განიხილავს საკითხებს. „კვირის აქცენტები“ და მისი წამყვანები ღიად უპირისპირდებიან ხელისუფლებას და მათ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს, სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც მოიხსენიებენ „მოღალატედ“, “„პუტინად“ „სამარცხვინო კანდიდატად“ და მოუწოდებენ ამომრჩეველს, რომ არ დაუჭირონ ზურაბიშვილს მხარი. მისთვის ხმის მიცემა, წამყვანის აზრით, ნიშნავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობისთვის ხმის მიცემას (16.09). ზურაბიშვილის წინააღმდეგ ნიკა გვარამიამ ერთგვარი კამპანიაც წამოიწყო – „წიწაკა ჩელენჯი“. ეთერში ჭამა წიწაკა მოწოდებით „არა სალომე ზურაბიშვილს!.“ შემდეგ მოუწოდა აუდიტორიას, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან სალომე ზურაბიშვილს, მათაც კამერის წინ შეჭამონ წიწაკა და დაგმონ ზურაბიშვილი.

ამგვარი კრიტიკის ფონზე გადაცემაში ისმოდა პოზიტიური მესიჯები გრიგოლ ვაშაძის მიმართ. ითქვა, რომ მან სწორად წარმართა საპრეზიდენტო კამპანია და სწორად „მოაჯდა“ მომგებიან თემებს, როგორიცაა მარიხუანის კულტივაციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია. ამ მოსაზრებების გასამყარებლად წამყვანებს მოჰყავდათ, „ედისონ რისერჩის“ კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც ვაშაძეს ამ მომენტისთვის ყველა სხვა კანდიდატზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს. სალომე ზურაბიშვილს აკრიტიკებდნენ და გრიგოლ ვაშაძის მხარდაჭერაზე გაამახვილეს ყურადღება მოწვეულმა სტუმრებმაც.

ანალიზთან და პირად მოსაზრებებთან ერთად წამყვანები მძიმე ბრალდებებს აჟღერებდნენ. მაგალითად (23.09), გვარამიას თქმით, სუსის ყოფილი უფროსი სოსო გოგაშვილი სამსახურიდან გაუშვეს სხვადასხვა გარემოების, მათ შორის, საარჩევნოდ ფულის მითვისების და იმის გამო, რომ მისი ბრძანება ისმის რაციაში მაჩალიკაშვილის ლიკვიდაციის შესახებ. აუდიტორიისთვის არ განუმარტავთ, თუ რას ეფუძნება ეს ფაქტები. ამგვარი შემთხვევები გამონაკლისი არ ყოფილა.

წამყვანები არგუმენტაციას და ფაქტების დასაბუთებას არც რესპონდენტებს სთხოვდნენ მაგალითად, (16.09) გადაცემაში ჩართვისას, ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა განავითარა კონსპირაციული თეორია, რომლის მიხედვითაც საქართველოში სპეციალურად შემოიყვანეს ფაროსანა, რის გამოც ხდება მიწების ხელოვნურად გაიაფება; ამ მიწებს შემდეგ შეისყიდიან სწორედ მარიხუანას პლანტაციებისთვის და ამ ყველაფრის სათავეში არის „რუსი ოლიგარქი“ ბიძინა ივანიშვილი. ამ მიმართულებით წამყვანებს დამაზუსტებელი კითხვები არ დაუსვამთ და რესპონდენტს არ ჩაძიებიან.

წამყვანები იყენებდნენ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსაც. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილზე თქვეს, რომ *“შერაცხადობასთან პრობლემის მქონე ქალია, რომელიც ერთ ჩაქუჩს რომ გააგდებინებ, მეორეს იღებს და თავში ირტყამს”*(23.09). წამყვანებმა ირაკლი კობახიძე მოიხსენიეს “არარაობად” (9.09), ხელისუფლების მიმართ იყენებენ ფრაზას *„ერთუჯრედიანი ინფუზორიები“* (14.10) კალაძე მოიხსენიეს კლეპტომანად. წამყვანმა გამოიყენა არანორმატიული ლექსიკაც (14.10).

საერთო ჯამში ეს გადაცემა წინასაარჩევნო პერიოდში იყო აშკარად ტენდენციური ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის წინააღმდეგ. ეთერში მოწვეული სტუმრებიც იმავე ნარატივს ავითარებდნენ. ზოგადად, განსხვავებული მოსაზრებების მქონე, ანდა ხელისუფლების წარმომადგენლებსა თუ მათ მხარდამჭერებს გადაცემაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ ტენდენციურობას გადაცემის წამყვანები ხსნიან იმ არგუმენტით, რომ ეს არ არის მორიგი არჩევნები, არამედ რეფერენდუმია საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით. თუნდაც ამ მიზეზით მსგავსი მიკერძოებულობის გამოჩენა გადაცემის წამყვანების მხრიდან ეწინააღმდეგება პროფესიულ სტანდარტს და არჩევნების გაშუქების ზოგად წესებს.

იმედი

იმედის ეთერში გადიოდა ერთი ტოქშოუ „პირისპირ.“ მონიტორინგის ქვეშ იყო სტუმართა ჩართვები შაბათის საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“. არხს მაყურებლისთვის არ შეუთავაზებია საპრეზიდენტო კანდიდატთა დებატები და პროგრამების განხილვა.

პირისპირ

იმედის ტოქშოუ „პირისპირ“ კვირაში ერთხელ გადის ეთერში. საანგარიშო პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის წევრები, თუმცა, წამყვანმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უარი თქვა გადაცემაში მონაწილეობაზე. ტოქშოუს საპრეზიდენტო კანდიდატებიც სტუმრობდნენ, მაგრამ მათ შორის დებატები არ გამართულა. ისინი პირისპირ ინტერვიუს ფორმატში პასუხობდნენ წამყვანის შეკითხვებს. განსაკუთრებით უარყოფითი ტონი იგრძნობოდა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ, რაც იკვეთებოდა წამყვანის შესავალ ტექსტსა და მის მიერ დასმულ კითხვებში.

“მოსახლეობა არჩევანის წინაშეა - რეპრესიული მმართველობა, რომელიც 2012 წელს დასრულდა, თუ დემოკრატიული სახელმწიფო. ფაქტია, ამ ორთაბრძოლაში ყველაზე მეტად ამომრჩეველი ზარალდება, რომლის აზრიც სააკაშვილის გუნდს რეალურად ნაკლებად აინტერესებს, სხვებს კი არ ეძლევათ შესაძლებლობა, წინასაარჩევნო გარემო დასავლური სტანდარტებით ჩაატარონ. ახალი ამბები ძირითადად ნაციონალების მიერ დაგეგმილ შავ პიარს და მათ მიერ ქართული ოცნების დისკრედიტაციის მცდელობას ეძღვნება. ვაშაძის საბჭოთა კამპანიის შემადგენელი ნაწილი აღმოჩნდა ტელებოიკოტიც, რომელიც ჩემს გადაცემას გამოუცხადეს და დღეს უარი თქვეს იმედის ეთერით საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე“, - თქვა წამყვანმა 9 ოქტომბერს გადაცემის გახსნისას. 18 სექტემბრის გადაცემაში გრიგოლ ვაშაძეს „წაგებული ომის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი უწოდა.“ მიუხედავად იმისა, რომ ამავე მთავრობის დროს იყო სალომე ზურაბიშვილიც საგარეო საქმეთა მინისტრი, წამყვანმა მისი ბიოგრაფია შეაფასა როგორც „შთამბეჭდავი.“

ამავე 18 სექტემბრის გადაცემაში შესავალ ტექსტში წამყვანმა ისე წარმოაჩინა, თითქოს სალომე ზურაბიშვილს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“, გრიგოლ ვაშაძე, მიხეილ სააკაშვილი და მათი მხარდამჭერები ებრძვიან და ისინი აკრიტიკებენ მას რუსეთთან დაკავშირებული განცხადებების გამო. ეს მაშინ, როდესაც, რეალურად, სალომე ზურაბიშვილს ამ განცხადებების გამო კრიტიკა არც სხვა პოლიტიკური ძალებისგან და არც ამომრჩეველთა ნაწილის მხრიდან არ მოჰკლებია. გადაცემაში საერთოდ არ გაჟღერებულა ზურაბიშვილის განცხადებები რუსეთის შესახებ. სწორედ ხელისუფლება ავრცელებდა ამ მესიჯს, რომ ნეგატიურ ფონს სალომე ზურაბიშვილს ოპოზიცია უქმნის. უფრო მეტიც, წამყვანის ისედაც რბილ ტონს დაემატა ისიც, რომ სალომე ზურაბიშვილმა პრაქტიკულად ათქმევინა წამყვანს, რომ სწორედ თავად გაიყვანა საქართველოდან რუსული ჯარი. ამის შემდეგ წამყვანმა იკითხა: „ნაციონალური მოძრაობა, ასევე მათი საპრეზიდენტო კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, რომელიც იყო რუსეთის მოქალაქე და საგარეო საქმეთა უწყებაში მუშაობდა, მე ამოვიწერე კიდეც, კოსმოსური და ბირთვული მიმართულებით, თქვენ გიწოდებთ მოღალატეს და ასევე ამბობენ, რომ ხართ რუსეთის აგენტი, ეს როგორ უნდა ავხსნათ?“

წამყვანს არც ერთხელ არ მოუყვანია ციტატა, რომლის გამოც სალომე ზურაბიშვილს მოღალატე უწოდეს.

25 სექტემბერს წამყვანმა კიდევ ერთი გადაცემა მიუძღვნა იმას, თუ როგორ ებრძვის ყველა სალომე ზურაბიშვილს. ირაკლი ჩიხლაძემ რამდენიმეჯერ აღნიშნა, რომ სალომე ზურაბიშვილი იყო თავდასხმის ობიექტი, რომ მას უწოდეს „მოღალატე“ და ისაუბრა მის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაზე. თუმცა არაფერი უთქვამს იმაზე, რომ მსგავსი კამპანია იყო გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგაც, რომელსაც ასევე უწოდებდნენ რუსეთის აგენტს და „კაგებეშნიკს.“ ამ კონტექსტში ძალიან საინტერესოა, რომ გადაცემაში წარმოდგენილი იყო კოლაჟი, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატები გრიგოლ ვაშაძე, დავით ბაქრაძე და ზურაბ ჯაფარიძე, გასცემენ დაპირებებს, რომლებიც სცდება პრეზიდენტის უფლებამოსილებას. წამყვანმა სტუმრებსაც ამ არარეალური დაპირებების შესახებ გააკეთებინა კომენტარი. თუმცა ამ კოლაჟში არ მოხვდა სალომე ზურაბიშვილის არცერთი ფრაზა. ეს ფაქტი, წამყვანმა იმით ახსნა, რომ ბევრი ეძება და ვერ იპოვა. სხვა მედიასაშუალებამ, მაგალითად რადიო „თავისუფლებამ“, მოახერხა ზურაბიშვილის ასევე არარეალური დაპირებების მოძებნა და „იმედის“ გადაცემამდე ერთი კვირით ადრე შესთავაზა თავის მაყურებელს. „თავისუფლებამ“ ზურაბიშვილის ორ დაპირებაზე ისაუბრა, სადაც ის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარის გაყვანის და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების პირობას დებს. რეალურად არცერთის მოგვარების ბერკეტი პრეზიდენტს პირდაპირ არ აქვს.

რჩება შთაბეჭდილება, რომ გადაცემაში წამყვანის მიერ მეორდება ის მესიჯები, რის გატარებასაც ხელისუფლება ცდილობს და ის არ არის კრიტიკული ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ; უსვამს მათ ისეთ კითხვებს, რაც საშუალებას მისცემთ საკუთარი საქმიანობა პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩინონ. მაგალითად, 11 სექტემბერს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან საუბარი წამყვანმა დაიწყო ამ კითხვით - „რატომ უნდა გადამდგარიყო და არ გადადგა იუსტიციის მინისტრი?“ ამან საშუალება მისცა რესპონდენტს ესაუბრა სასურველი მიმართულებით და ეკრიტიკებინა საგამოძიებო კომისია. მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო კომისიამ აღწერა ის ხარვეზები, რაც სარალიძის საქმეზე გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, წამყვანმა ამ თემაზე მხოლოდ ამ ფორმულირებით დასვა კითხვა - „თუ გამოიკვეთება ხარვეზები, ვინ იქნება პასუხისმგებელი?“

გადაცემას სტუმრობდნენ საპრეზიდენტო კანდიდატებიც, თუმცა მათ შორის დებატები არ გამართულა და წამყვანი მათთან პირისპირ ინტერვიუს წარმართავდა. პარტიების წარმომადგენლების სტუდიაში სტუმრობაც მეტწილად ურთიერთბრალდებების რეჟიმში მიმდინარეობდა.

ქრონიკა

მონიტორინგდებოდა საინფორმაციო გადაცემა შაბათის ქრონიკის ის ნაწილი, სადაც სტუმრები მონაწილეობდნენ. წამყვანი უმეტესად ცალ-ცალკე ინტერვიუს ფორმატში წარმართავდა რესპონდენტებთან საუბარს მიმდინარე ამბებზე და ორიენტირებული იყო დამატებითი ინფორმაციის მიღებაზე. ასეთ ფორმატში მიდიოდა საუბარი მაშინაც კი, როდესაც მის ეთერში პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ერთვებოდა (22.09). მისი ჩართვა დაემთხვა აშშ-ში მის ვიზიტს. წამყვანის კითხვებიც ამ ვიზიტის გარშემო ტრიალებდა და არ იყო პრემიერ - მინისტრის მიმართ კრიტიკული. წამყვანს არ მოუყვანია კონტრ-არგუმენტები თუნდაც მაშინ, როცა პრემიერი ეკონომიკის აღმავლობაზე საუბრობდა.

წამყვანს არ გაუწევია ოპონირება დეპუტატ მამუკა მდინარაძისთვისაც (6.10), როდესაც მან თქვა, რომ „ქართული ოცნება“ რამდენიმე საკითხში „ძალიან მართალია“ და ეს საკითხებია, ადამიანის უფლებები, ბიზნესის თავისუფლება, მედიის თავისუფლება და აშ. ამის საპასუხოდ ჟურნალისტი ამბობს რომ ბიზნესის თავისუფლება დგება კითხვის ნიშნის ქვეშ „ომეგას“ მფლობელის, ზაზა ოქუაშვილის ჩანაწერებით. ამით წამყვანმა ფაქტობრივად დაუდასტურა რესპონდენტს, რომ მედიის თავისუფლებას და ზოგადად ადამიანის უფლებებს ამ ქვეყანაში პრობლემები არ არსებობს, მაშინ, როდესაც, არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ანგარიში სწორედ ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს უსვამს ხაზს.

ტვ პირველი

„ტვ პირველის“ ეთერში ყოველ სამუშაო დღეს პრაიმ ტაიმში სხვადასხვა ტოქშოუ გადის ეთერში: „ხალხის პოლიტიკა“, “„რეაქცია“ (კვირაში ორჯერ), „პოლიტმეტრი“, „პირველები“. თითოეული მათგანი მიმდინარე ამბებს ეხება, ამიტომაც ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე თემა განიხილება და დისკუსიის ჭრილიც მსგავსია. შესაბამისად,ზოგჯერ რთულია მათ შორის განსხვავების დანახვა შინაარსის თვალსაზრისით.

პოლიტმეტრი

გადაცემა „პოლიტმეტრი“ ყოველ ოთხშაბათს გადის ეთერში და მიმდინარე მოვლენებს განიხილავს. გადაცემაში მონაწილეობდნენ როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიის წევრები. წამყვანი მწვავე კითხვების დასმას ხელისუფლების წარმომადგენელთან არ ერიდებოდა. იყო მომზადებული და კარგად იცნობდა სადისკუსიო თემას. თუმცა, გადაცემაში აქცენტი არ გაკეთებულა საარჩევნო პროგრამებსა და მათ კრიტიკულ ანალიზზე.

იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანის მიერ დასმული კითხვები იყო ზოგადი: „რა სურს ივანიშვილს ამ არჩევნებზე?“ „რა თავისებურებები აქვს ამ არჩევნებს?“ - მსგავს ზოგად

კითხვებს ეთერში მოწვეული გამოცდილი პოლიტიკოსები კარგად იყენებდნენ მათთვის სასურველი მიმართულებით სასაუბროდ.

რეაქცია

„რეაქცია“ კვირაში ორჯერ გადიოდა ეთერში და მიმდინარე თემებს ეხებოდა. სტუმრებიც თემების მიხედვით იყვნენ შერჩეულნი. მაღალ თანამდებობის პირებთან, მაგალითად პარლამენტის თავმჯდომარესთან ინტერვიუ კი ასევე აქტუალურ თემებს ეხებოდა. გადაცემას სტუმრობდნენ მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები. საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამები არც ამ გადაცემაში ყოფილა განხილული.

წინა წლებისგან განსხვავებით მნიშვნელოვნად იყო შემცირებული ისეთი შემთხვევები, როდესაც ამ გადაცემაში არარელევატური სტუმრები მონაწილეობდნენ, საუბრობდნენ სიძულვილის ენით, აყენებდნენ შეურაცხყოფას ერთმანეთს. წელს წამყვანი უფრო მეტად იყო კონცენტრირებული კონკრეტულ თემებზე და ცდილობდა ყოფილიყო ძალიან მწვავე ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, არ ერიდებოდა შეპასუხებას. თუმცა, ზოგ შემთხვევაში ჩანდა, რომ არ აქვს განსაზღვრული ფოკუსი, ამიტომაც, როდესაც წამყვანი მიჰყვება რესპონდენტს მსჯელობაში, ის არ არის სათანადოდ მომზადებული, ნაკლებად ესაუბრება ფაქტებით, მონაცემებით, ციტატებით, დამამტკიცებელი ვიდეო კადრებით. ეს ნათლად გამოჩნდა 25 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესთან ინტერვიუს დროს. მაგალითად, როდესაც კობახიძემ თქვა, რომ ბასიანში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, ანუ სახელმწიფოს ჩარევის შემდეგ, სასიკვდილო ნარკოტიკი აღარ იყიდება და პრობლემა მოგვარდა, წამყვანი არ ახსენებს, რომ შსს-ს უშუალოდ კლუბის ტერიტორიაზე ნარკორეალიზატორები არ დაუკავებია და არაფრით დასტურდებოდა, რომ ნარკოტიკი კლუბში იყიდებოდა; ადამიანები კი კლუბის გარეთ გარდაიცვალნენ გაურკვეველი სუბსტანციის მიღების შემდეგ.

გადაცემაში საკითხები უმეტესწილად ზედაპირულად, დაპირისპირების ჭრილში განიხილებოდა. მაგალითად, 13 სექტემბერს, როდესაც დისკუსიის თემა იყო მარიხუანის კულტივირება და სამედიცინო მიზნებისთვის გამოყენება, წამყვანი მთელი გადაცემის მანძილზე ცდილობდა მხოლოდ ერთადერთი საკითხის წინ წამოწევას - ადამიანების დიდი ჯგუფი მარიხუანის კულტივირების ინიციატივის წინააღმდეგია, ამ დიდ ჯგუფს ზურგს უმაგრებს ეკლესია და ამ ფონზე მთავრობა შეძლებს თუ არა ამ საკითხის ბოლომდე გატანას. რეალურად ყურადღების მიღმა დარჩა ინფორმაციული მხარე - თუ რა ტიპის ეკონომიკური გათვლები აქვს მთავრობას, როგორია სხვა ქვეყნების მაგალითი, რამდენად რეალური იქნება საქართველოსთვის ეკონომიკური სარგებლის მიღება, რა ეფექტი და უკუეფექტია მოსალოდნელი და ა.შ. მხოლოდ ამ ინფორმაციული ბაზისის შემდეგ დგება უკვე პროტესტის

ან მხარდაჭერის საკითხი დღის წესრიგში და არა პირიქით. ჟურნალისტს მანამდე უნდა მოეძიებინა თავად ინფორმაცია ამ მიმართულებით, რომ მომზადებული დახვედროდა რესპონდენტებს ამ თემაზე.

ხალხის პოლიტიკა

გადაცემას რამდენიმე სტუმარი ჰყავდა თითოეულ გამოშვებაში. სჭარბობდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან მონიტორინგის სუბიექტები. ზოგჯერ მათი რელევანტურობა და თემასთან შესაბამისობა კითხვებს ბადებდა. გადაცემაში ხშირად რამდენიმე სტუმარი ერთდროულად საუბრობდა და რთულად აღიქმებოდა შინაარსი. თუმცა, წამყვანი იყო კარგად ინფორმირებული, ეძიებოდა სტუმრებს, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვანაირი ფორმულირებით სვამდა კითხვებს და იმეორებდა, რომ დასმულ კითხვაზე მიეღო პასუხი. საარჩევნო პროგრამებზე დისკუსია არც ამ გადაცემაში გამართულა და აქაც აქცენტი მიმდინარე თემებზე კეთდებოდა.

პირველები

გადაცემა ძირითადად კვირის მიმდინარე მოვლენებს ეხმიანებოდა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს კი დაიწყეს საპრეზიდენტო კანდიდატების და მათი მხარდამჭერების მოწვევა და საზოგადოებისთვის მათი გაცნობა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ ზურა ჯაფარიძე (28.09) და დავით უსუფაშვილი (5.10). ბუნდოვანი დარჩა როგორც მათი შერჩევის პრინციპი, ასევე კანდიდატთა წარდგენის პერიოდულობა, ვინაიდან შემდეგ გადაცემაში, 12 ოქტომბერს არც ერთი კანდიდატის პრეზენტაცია არ გამართულა. ამ თემაზე განმარტება მაყურებლისთვის არ გაკეთებულა.

კანდიდატების ეთერში მოწვევა მიზნად ისახავდა მათი ხედვების წარმოჩენას. კითხვები იყო ზოგადი - „რატომ გინდათ საქართველოს პრეზიდენტობა?“ „რის შეცვლას შეძლებთ?“ „რით განსხვავდებით სხვებისგან?“ და ა.შ. სტუდიაში მყოფ მხარდამჭერებს კი ეკითხებოდნენ რატომ უჭერდნენ ისინი მხარს წარმოდგენილ კანდიდატს. კრიტიკული კითხვები არ დასმულა.

კანდიდატების წარდგენისგან განსხვავებით მიმდინარე ამბებზე გამართული დისკუსიისას რამდენიმე შემთხვევაში წამყვანები მომზადებულები იყვნენ და სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს. მაგალითად, მმართველი პარტიის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერის თემაზე საუბრისას (28.09) კარგად გაუწიეს ოპონირება არჩილ თალაკვაძეს, როდესაც მან სცადა მხოლოდ სალომე ზურაბიშვილის დამსახურებად წარმოეჩინა მისი საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს საქართველოდან რუსეთის ჯარების

გაყვანა. გადაცემაში იმართებოდა დებატები ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა თემაზე.

იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანებმა ვერ მართეს დისკუსია. მაგალითად, 21 სექტემბერს დაიძაბა სიტუაცია სტუდიაში სტუმრებს შორის მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირების გამო. სტუმრები ერთმანეთს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. წამყვანებმა ვერ შეძლეს დაძაბულობის განმუხტვა და ბოლოს ეთერი სარეკლამო ჭრით გათიშეს და ისე დაასრულეს ეს ბლოკი.

იბერია

ტელეკომპანია იბერიაზე მონიტორინგდებოდა ტოქშოუ „თავისუფალი სივრცე“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა ეთერში. ეს გადაცემა იმით იყო გამორჩეული, რომ ამ ტელეკომპანიის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების[2] გარდა სხვა თემა თითქმის არ განუხილავთ, რაც ვერ აკმაყოფილებს ამომრჩევლის ინტერესს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კი არხმა ყველა გადაცემა დახურა.

თავისუფალი სივრცე

რადგან გადაცემის სადისკუსიო თემა უშუალოდ ეხებოდა ამ არხს, ჟურნალისტები იყვნენ მხარე ამ პროცესში, შესაბამისად, რთულია მიუკერძოებლობაზე საუბარი. წამყვანები ვერ ახერხებდნენ თემიდან დისტანცირებას. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ორი თვე ამ თემაზე საუბრობდნენ, გადაცემა ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემის, მოკვლევის ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზის ნაცვლად უფრო მეტად ორიენტირებული იყო ზედაპირულ შეფასებებზე. წამყვანი სტუმრად მყოფ საზოგადოების წევრებს თუ პოლიტიკოსებს სთხოვდა შეეფასებინათ „იბერიის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები, გამოეთქვათ პროგნოზები, თუ რა გაგრძელება მოჰყვება ამ საქმეს და ა.შ. რესპონდენტებიც აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას. ამ არხის დამფუძნებლის, ზაზა ოქუაშვილის ფარული ჩანაწერებიც სხვა არხის, „რუსთავი 2-ის“ მიერ გასაჯაროვდა; ამავე არხმა გაავრცელა ინტერვიუ ოქუაშვილთან, სადაც მან მნიშვნელოვანი ფაქტები დაასახელა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. საკუთარი არხის დამფუძნებლების შესახებ ამ ექსკლუზიური ინფორმაციის გავრცელება „იბერიას“ „რუსთავი 2-ზე“ დაყრდნობით მოუწია. „თავისუფალმა სივრცემ“ ვერ მოახერხა მაყურებლისთვის ახალი და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ამ თემაზე.
გადაცემაში ხშირად ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები და წამყვანი რესპონდენტებს არ სთხოვდა კონკრეტულ არგუმენტებს, მტკიცებულებებს. მაგალითად, 21 სექტემბერს

[2] 7 სექტემბერს ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ ტელეკომპანიაზე ზეწოლა ხორციელდება დამფინანსებელი კომპანიისთვის ხელისუფლების მიერ პრობლემების შექმნის გზით. მოგვიანებით დაიწყო დამფუძნებელსა და ყოფილ მაღალჩინოსნებს შორის ფარული სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გამოქვეყნება, რამაც საზოგადოებაში ე.წ. ელიტური კორუფციის არსებობის შესახებ გააჩინა ეჭვები.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჩართვა მონოლოგის რეჟიმში მიმდინარეობდა. წამყვანი საშუალებას აძლევდა სტუმარს ესაუბრა იმაზე, თუ როგორ მოისყიდა ბიძინა ივანიშვილმა საპრეზიდენტო კანდიდატი ზურაბ ჯაფარიძე, გადაუხადა მას ფული იმისათვის, რომ დაეტოვებინა „ნაციონალური მოძრაობა“ და შეექმნა თავისი პარტია, შემდეგ კი ჯაფარიძეს ყალბი კამპანია დააგეგმინა მარიხუანის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით. წამყვანი არ ჩაეძია, თუ რის საფუძველზე აკეთებს რესპონდენტი ამ განცხადებებს, არსებობს თუ არა რაიმე ფაქტი, რომელიც ამ ბრალდებებს დაადასტურებს.

ზოგჯერ სტუმრები გადაცემის თემის გარდა საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე, მაგალითად, წინა ხელისუფლება და მისი შეცდომები, კორუფცია, წინა და ახლანდელი ხელისუფლების დროს ჩადენილი მკვლელობები, ციხეში წამება და აშ. ზოგჯერ ერთმანეთს შეურაცხყოფასაც აყენებდნენ.

საერთო ჯამში წინასაარჩევნო პერიოდში „თავისუფალი სივრციდან“ აუდიტორიამ ვერ მიიღო არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია. უცნობი დარჩა კანდიდატების ხედვები. არ გამართულა მათ შორის დებატები.

„თავისუფალ სივრცეში“ იყო ქსენოფობიის შემთხვევაც. 24 სექტემბერს საპრეზიდენტო კანდიდატმა შალვა ნათელაშვილმა უარყოფითად შეაფასა ირანის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესება. “დღეში ჩამოდის 20 რეისი [ირანიდან] და აქედან მიფრინავენ ცარიელები. არაფერი აღარ გამოვა საქართველოსგან... ამიტომ როგორც კი გაპრეზიდენტები პირველი ნაბიჯი იქნება უვიზო რეჟიმის დაკეტვა ირანთან”. გადაცემის თემა კვლავაც „იბერიის“ საქმე იყო და უკონტექსტიდ გამოყენებული ეს ქსენოფობიური მოსაზრება, რომელიც არასწორ ფაქტსაც შეიცავს (ირანიდან 20 რეისი არ ჩამოდის), წამყვანის რეაგირების გარეშე დარჩა.

მაესტრო

მაესტროს ეთერში არ გადის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა. ამიტომაც მონიტორინგდებოდა მხოლოდ სტუმართა ჩართვები საინფორმაციო გამოშვება „კონტაქტში.“

კონტაქტი

სტუმრებთან იმართებოდა პირისპირ ინტერვიუ, კანონით დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად დისკუსია მაყურებლისთვის არ შეუთავაზებიათ. გადაცემის თემა ძირითადად მიმდინარე მოვლენები იყო. ამიტომაც, წამყვანი ცდილობდა განსახილველ საკითხზე რესპონდენტისგან ინფორმაციის მიღებას, ნაკლებად იყო ორიენტირებული კრიტიკაზე, მწვავე კითხვების დასმაზე.

საანგარიშო პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატებიდან გადაცემას დავით უსუფაშვილი (26.09) და ზურა ჯაფარიძე (10.10) სტუმრობდნენ. ზურა ჯაფარიძესთან წამყვანი კონკრეტული საარჩევნო პროგრამების ნაცვლად უფრო ზოგად ჭრილში სვამდა კითხვებს. მაგალითად, მემარჯვენე პოლიტიკოსს, ზურა ჯაფარიძეს ეუბნება, რომ ის პაციფისტად წარმოუდგენია და გაკვირვებას გამოხატავს, როცა ჯაფარიძე ამას უარყოფს. წამყვანს გირჩის პოზიცია, გაუქმდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური, მიაჩნია პაციფიზმის მტკიცებულებად. აქ ჯაფარიძეს უწევს იმის ახსნა, რომ მისი რწმენით ჩვენი ქვეყანა გაცილებით მეტ ხარჯს უნდა სწევდეს თავდაცვისთვის, უბრალოდ მას მიაჩნია, რომ არმია უნდა იყოს პროფესიული.

წამყვანი ასევე დაინტერესდა პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში ჯაფარიძე „გირჩის“ ეკლესიის წევრად თუ დარჩება. ჩანდა, რომ წამყვანმა არ იცოდა, რომ ამ ეკლესიაში, რომელიც შექმნილია საკანონმდებლო ხვრელის გამოყენებით სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან თავის დაღწევის მიზნით, ზურა ჯაფარიძეს არავითარი პოზიცია არ აქვს. ამგვარი საკითხების განხილვის პარალელურად გვერდით დარჩა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც ზურაბ ჯაფარიძეს საკუთარ ხედვებში აქვს გაწერილი.

ობიექტივი

დაკვირვების ქვეშ იყო ტელეკომპანია ობიექტივის გადაცემა „ღამის სტუდია“, რომელიც ყოველ დღე გადის ეთერში. გასული წლების მსგავსად ამ საანგარიშო პერიოდშიც ეს გადაცემა „პატრიოტთა ალიანსის“ სამაუწყებლო პლატფორმაა.

ღამის სტუდია

„პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები ხან სტუმრის და ხანაც გადაცემის წამყვანის სტატუსით მონაწილეობენ. მაგალითად, პოლიტიკურ მდივანს ვაჟა ოთარაშვილს, რომელიც „ღამის სტუდიას“ რესპონდენტის როლში სტუმრობს, ამავე არხზე მიჰყავს გადაცემათა ციკლი „ლიტერატურა, ხელოვნება, სულიერება“. საერთო ჯამში საანგარიშო პერიოდში გადაცემას პატრიოტთა ალიანსის 14 წარმომადგენელი სტუმრობდა მაშინ, როდესაც სხვა პარტიის წარმომადგენელთა რაოდენობა ჯამში 3-ს არ აჭარბებს. სწორედ ამდენჯერ მონაწილეობდნენ „ქართული ოცნებისა“ და „ქართული დასის“ წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში გასული 70 გადაცემიდან მხოლოდ 30 გადაცემაში მონაწილეობდნენ მონიტორინგის სუბიექტები. თუკი 2017-2016 წლების არჩევნებს შევადარებთ, მკვეთრად შემცირებულია პატრიოტთა ალიანსის წევრების გამოჩენის მაჩვენებელი, რაც შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ ამ პარტიას წელს საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავს.

სექტემბრის თვეში „ღამის სტუდიას“ პრეზიდენტობის კანდიდატებიც სტუმრობდნენ, მათ შორისაა - გიორგი ანდრიაძე, კახა კუკავა, ზაურ ნაჭყებია, ბესარიონ თედიაშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი, მიხეილ-გელა სალუაშვილი. თითოეულ მათგანთან წამყვანი სხვადასხვა თემაზე საუბრობდა. კანდიდატებს შორის დებატები არ გამართულა.

ზოგჯერ გადაცემას სტუმარი არ ჰყავდა და მხოლოდ წამყვანი აცნობდა საკუთარ აზრებს მაყურებელს. მაგალითად, 29 აგვისტოს წამყვანმა ბონდო მძინარაშვილმა პირდაპირ მოუწოდა ამომრჩეველს, რომ არ აირჩიონ გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე და ევროპული საქართველოს კანდიდატი დავით ბაქრაძე. „არ აქვს მნიშვნელობა ახლა იმას ევროპული საქართველო ერქმევა, თუ აფრიკული უგანდა. არავითარ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“ არცერთ წარმომადგენელს მხარი არ დაუჭიროთ“, - თქვა წამყვანმა ბონდო მძინარაშვილმა, რომელიც 2016 წელს მაჟორიტარი კანდიდატი იყო „პატრიოტთა ალიანსიდან“.

ამ წამყვანის და ზოგადად არხის მხრიდან გამოხატული კრიტიკა „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მიმართ აშკარაა. მაგალითად, „ევროპულ საქართველოს“ ბონდო მძინარაშვილი მოიხსენიებს „ბოკერვილად“, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი „ნაცსექტად.“

წამყვანი თითქმის არასდროსაა კრიტიკული. ტოქშოუს ნაცვლად მეგობრული საუბრები უფრო ხშირად იმართება. ასეთივე ფორმატში წარიმართა საუბარი საპრეზიდენტო კანდიდატებთანაც, რომლებიც არაერთ თემაზე საუბრობდნენ ყოველგვარი ოპონირების გარეშე. არ გაანალიზებულა კანდიდატების საარჩევნო პროგრამა. 12 სექტემბერს პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი ანდრიაძესთან საუბარს ქსენოფობია და ჰომოფობია თან სდევდა, რასაც არ მოჰყოლია წამყვანის ადეკვატური რეაგირება. პირიქით, ისიც იზიარებდა ამგვარ რიტორიკას.

სიძულვილის ენა ამ გადაცემაში გამონაკლისი არ არის და შეიძლება ითქვას, რომ ტენდენციის სახე აქვს. თურქები, ირანელები, არაბები, ინდოელები წარმოჩენილნი არიან ქართველებისთვის საფრთხედ. თურქეთი, როგორც დამპყრობელი არის წარმოჩენილი რუსეთის ოკუპაციის საპირწონედ, რის გასამყარებლადაც წამყვანები და რესპონდენტები ისტორიულ მოვლენებს იყენებენ. ამგვარი მიდგომით გადაცემა აჩვენებს, რომ მხოლოდ რუსეთი არ არის ოკუპანტი და საზოგადოებაში ერთგვარ ალტერნატივას აჩენს. მაგალითისთვის, გადაცემის წამყვანი გიორგი კასრაძე მიმართავს სტუმარს ვაჟა ოთარაშვილს: „ეს არის აჭარის რეგიონი და თურქეთის მთავრობის ღია და გაცხადებული ინტერესი აჭარაზე, სამცხე-ჯავახეთსა და გურიაზე“. გაუგებარია, რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით აცხადებს წამყვანი, რომ თურქეთის რესპუბლიკას შეიძლება რაიმე ტიპის პოლიტიკური ინტერესები ჰქონდეს ამ რეგიონების მიმართ.

ამის პარალელურად გადაცემიდან იკვეთება რომ რუსეთისთვის ოკუპანტის წოდება პოპულისტურია და „ურა პატრიოტიზმის შედეგია“. შესაბამისად, წამყვანი მიიჩნევს, რომ ეს პოლიტიკა დასავლური გავლენით ჩამოყალიბდა. „ცხინვალთან წაგებული ომი“ - ასე მოიხსენიებს 2008 წლის აგვისტოში რუსულ ოკუპაციას სტუმრის სტატუსით მისული ვაჟა ოთარაშვილი (12.10).

ზოგადად „ღამის სტუდიაში“ ანტიდასავლური ნარატივი და ევროსკეპტიციზმი კვლავაც ძლიერად ისმის. გადაცემაში დასავლეთი წარმოჩენილია ძალად, რომელიც ერევა შიდა პოლიტიკაში. 3 სექტემბერს წამყვანმა ნინო რატიშვილმა აშშ არაერთხელ მოიხსენია “ძია სემად” - ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების ირონიული მეტსახელი, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ რუსული პროპაგანდისტული ძალები მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. “ძია სემს უნდა ეს ბაქრაძე პრეზიდენტად და ჩვენი ბიძინა ბიძია არ იქნება ეხლა ძია სემის წინააღმდეგი. აი, ასეთი კითხვები გამიჩნდა”.

გადაცემაში დაუსაბუთებელი, არაარგუმენტირებული და კონსპირაციული თეორიებით გაჯერებული მოსაზრებები უცხო არ არის. მაგალითად, 24 აგვისტოს წამყვანმა ნინო რატიშვილმა თქვა, რომ ჭონქაძის ქუჩაზე არის მასონების შეკრება კავკასიის მასონთა ლოჟის დასაფუძნებლად. მანვე ივარაუდა, რომ მათ ფული ექნებათ, რაც საშიშია. გაუგებარი დარჩა, თუ რას ეყრდნობოდა ჟურნალისტი, როცა ამ ინფორმაციას ავრცელებდა.

აჭარის ტელევიზია

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში დაკვირვების ქვეშ იყო გადაცემა „მთავარის“ ის ნაწილი, სადაც იწვევდნენ რესპონდენტებს დისკუსიისთვის და „დებატები 2018.“

დებატები 2018

სამონიტორინგო პერიოდში აჭარის ტელევიზიის ეთერში მხოლოდ ერთხელ (15.09) გავიდა დებატები, სადაც სამი არაკვალიფიციური კანდიდატი მონაწილეობდა. წამყვანმა პრეზიდენტობის კანდიდატებს ოთხი კითხვა დაუსვა, თითოეულს პასუხისთვის ორი წუთი ჰქონდა. მიუხედავად მკაცრად განსაზღვრული დროისა წამყვანი ცდილობდა შემხვედრი კითხვების დასმას კანდიდატებისთვის და ამ გზით ოპონირების გაწევას. გადაცემის ბოლო ნაწილში ჟურნალისტმა კანდიდატებს მათი პროგრამებიდან გამომდინარე ჰკითხა, თუმცა, წამყვანის კითხვები საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებრად ჩამოყალიბებული იყო. მაგალითად, „თქვენი მთავარი დაპირება რა არის, რამდენიმეგან გაქვთ აქცენტი გაკეთებული ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, დეპუტატების გაწვევაზე რაღაცნაირად ბევრ კონტექსტში გაქვთ ეს ნახსენები”. უკეთესი იქნებოდა, წამყვანს ციტატები გამოეყენებინა

კანდიდატების პროგრამებიდან იმისათვის, რომ კითხვები უფრო მარტივად გასაგები ყოფილიყო.

მთავარი

მონიტორინგდებოდა საინფორმაციო ანალიტიკური გადაცემა „მთავარის“ ის ნაწილი, სადაც სტუმრები საუბრობენ სხვდასხვა თემაზე. ისინი ძირითადად შერჩეულნი იყვნენ მიმდინარე მოვლენების შესაბამისად. წამყვანი, უმეტეს შემთხვევაში, მომზადებული იყო და ცდილობდა, რომ ინტერვიუ ყოფილიყო ინფორმაციული, ფაქტებით გამყარებული. უწევდა ოპონირებას სტუმრებს.

შედარებით ნაკლებად ინფორმაციული იყო 6 ოქტომბერს გამართული დისკუსია, სადაც „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მწვანე კონცხზე მშენებლობის შესახებ საუბრობდნენ. სტუმარმა მოახერხა წამყვანის კითხვებისთვის თავის არიდება და საკითხზე ზოგადად საუბარი. მან პრობლემებზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად ოპონენტს წარსული შეახსენა. სტუმრებმა დისკუსია ურთიერთბრალდებების რეჟიმში წარმართეს.

ასევე სუსტად გამოიყურებოდა წამყვანი 22 სექტემბერს, როდესაც გადაცემაში ასევე ორი პარტიის, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წევრები მონაწილეობდნენ. 20 წუთიანი დისკუსიის განმავლობაში წამყვანი მხოლოდ რამდენიმეჯერ ჩაერთო და უმეტესად მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. ამ გადაცემაში სტუმრები უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში დაგეგმილ ცვლილებებზე საუბრობდნენ, შესაბამისად, ამ დისკუსიის დეტალები და მნიშვნელობა რიგითი მაყურებლისთვის რთულად აღსაქმელი იყო.